

პოლ ს. ვილესი

შექსპირი და რელიგია

(ოთხი ლექცია ილიას უნივერსიტეტი)



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2015

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
შესავალი: შექსპირის რელიგია.....	11
(თარგმნა პაატა ჩხეიძემ)	
1. გაფხულის ღამის სიზმარი: ხედვა სიყვარულის თვალთ 17	
(თარგმნეს პაატა ჩხეიძემ და დარი დანელიშვილმა)	
2. ვენეციელი ვაჭარი: კანონი და ღვთაებრივი მოწყალება35	
(თარგმნეს პაატა ჩხეიძემ და გიორგი გედევანიძემ)	
3. მეფე ლირი: სიკვდილის სერიოზულად გააზრება56	
(თარგმნეს პაატა ჩხეიძემ და ნათია ბუთხუზმა)	
4. ქარიშხალი: პატიების ძალა77	
(თარგმნა პაატა ჩხეიძემ)	

წინასიტყვაობა

პოლ სტიუარტ ფიდესი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ცნობილია, როგორც ჩვენი დროის წამყვანი სწავლული თეოლოგიისა და ლიტერატურის დარგში. მას დღევანდელ „ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მეცნიერად“¹ მოიხსენიებენ და ეს ასეც არის. მაგრამ ჩემთვის პოლ ფიდესი გაცილებით მეტია, ვიდრე ის ყველა ტიტულები და დამსახურებანი. ის ჩემი მასწავლებელი და მეგობარია.

სადოქტორო დისერტაცია მისი ხელმძღვანელობითა და შთაგონებით მაქვს გასრულებული, მასთან და მის მეუღლე მარიონთან წლების მეგობრობა მაკავშირებს. ჩვენს მეგობრობას, სხვადასხვა მსგავსი ინტერესების გარდა, ყოველთვის აძლიერებდა ჩვენი საერთო გატაცება შექსპირით. ჩემი სადოქტოროს დაცვის წინა ღამეს, როცა, წესით, დოქტორანტი დაცვისათვის უნდა ემზადებოდეს, მე და ჩემი მეუღლე პოლ ფიდესის ბინაში ვისხედით, შექსპირის *ქარიშხალზე* (*The Tempest*) ვმსჯელობდით და პროსპეროს სიტყვებში თეოლოგიურ ალუზიებს ვჩხრეკდით.

სწორედ ამიტომ არის, რომ ძალიან მიხარია პოლ ფიდესის პირველი წიგნის გამოცემა ქართულად.

პოლ ფიდესი განლავთ ოქსფორდის უნივერსიტეტის სისტემატური თეოლოგიის პროფესორი. წლების განმავლობაში ის იყო რეგენტს პარკ კოლეჯის – რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კოლეჯია – რექტორი და ამავე უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის თავმჯდომარე.

მისი მონოგრაფია *ღმერთის შემოქმედებითი ტანჯვა* (*The Creative Suffering of God*) უდავოდ ითვლება ბოლო ათწლეულებში ქრისტიანულ თეოლოგიაში შეტანილ ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო წვლილად. გარდა ამ ნაშრომისა, იგი არის ავტორი და რედაქტორი ოცზე მეტი წიგნისა, რომელთა შორისაც არ შეიძლება არ ვახსენოთ მისი: *თავისუფლება და ზღვარი: დიალოგი ლიტერატურასა და ქრისტიანულ მოძღვრებას შორის* *Freedom and Limit: A Dialogue*

1 Paul Fiddes, Australian Broadcasting Corporation, Local Radio, Sunday Nights (11 July 2010). Accessed 17 March 2015.

between Literature and Christian Doctrine (1991), აღთქმული ბოლო უამი. ესქატოლოგია თეოლოგიასა და ლიტერატურაში *The Promised End. Eschatology in Theology and Literature* (2000), ნოველა, სულიერება და თანამედროვე კულტურა *The Novel, Spirituality and Modern Culture* (2000). ამ წიგნებში ავტორი ეხება ლიტერატურისა და თეოლოგიის ურთიერთობის საკითხებს.

ამავე თემაზეა დაწერილი წინამდებარე წიგნი, რომელიც წარმოადგენს ნაწილს პოლ ფიდესის ვრცელი მონოგრაფიისა, რომელიც ჯერ ინგლისურად გამოქვეყნებული არ არის. ქართულად მკითხველი ამ ნაშრომს ინგლისურად მკითხველზე ადრე ეცნობა. პოლ ფიდესს ამ წიგნში თავმოყრილი ოთხივე ლექცია წაკითხული აქვს ილიას უნივერსიტეტში. პირველი ლექცია, ვენეციელ ვაჭარზე, მან წაიკითხა 2008 წელს იენისის თვეში, ხოლო დანარჩენი სამი 2014 წლის ივლისში.

ეს წიგნი შესანიშნავად გადმოიღო ქართულად ჩვენმა მეცნიერმა და შექსპიროლოგმა, პროფესორმა პაატა ჩხეიძემ, რომელსაც ასევე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ავტორთან. ციტატების გადმოღებისას პაატა ჩხეიძე ძირითადად სარგებლობდა შექსპირის ქართული თარგმანებით, რაც მითითებულიც არის ტექსტში; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული თარგმანები ინგლისურ დედანს ოდნავ შორდებოდა, ანდა მეტ სიზუსტეს მოითხოვდა, მთარგმნელი საკუთარი თარგმანით ავსებდა დედნის აკურატულად თარგმნის აუცილებლობას.

პოლ ფიდესი თავისი ყმაწვილკაცობიდანვე გატაცებული იყო შექსპირით. ჯერ კიდევ 16-18 წლისა, სკოლის მოსწავლეობისას ის საგანგებოდ იკვლევდა შექსპირის *ანტონიუსსა და კლეოპატრას* (*Anthony and Cleopatra*), და ასევე *ზამთრის ამბავს* (*The Winter's Tale*). შემდეგ, უკვე როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის სტუდენტმა, გააგრძელა შექსპირზე მუშაობა და მას აქეთ წერს და ლექციებს კითხულობს შექსპირზე როგორც დიდი ბრიტანეთში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში.

„მე დამატყვევა შექსპირის მიერ ენის შემოქმედებითად გამოყენების უნარმა, მეტაფორის გამოყენების უბადლო ოსტატობამ, მის მიერ ადამიანის ცხოვრების სრული მრავალფეროვნების ცოდნამ. მე მიზიდავენ მისი ნაწარმოებები, რომლებიც კომედიასა და ტრაგე-

დიას შორის არსებულ ზღურბლზე არიან ამოზრდილი“,² – მწერდა ფიდესი ერთ-ერთ თავის წერილში. იგი ისეა შეყვარებული შექსპირის გმირებზე, რომ უჭირს დაასახელოს, ვინ არის მისი საყვარელი პერსონაჟი შექსპირის ნაწარმოებებში.

პოლ ფიდესის აზრით, მისი ყველაზე დიდი აღმოჩენა, როგორც მეცნიერისა, ის არის, რომ „ეს სამყარო არის ურთიერთობათა ერთი დიდი ქსელი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს, როგორც ადამიანთა სამყარო, ისე ადამიანთა სამყაროს მიღმა არსებული სამყარო.“³

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ აღმოჩენაში შექსპირის ნაწარმოებებს თავისი წვლილი აქვთ შეტანილი.

ჩემი აზრით, ამ წიგნის დედააზრი ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ შექსპირი პიესებში უხვად იყენებს ბიბლიურსა და თეოლოგიურ ციტატებს, კონცეფციებსა და ალუზიებს – ავტორი არანაირად არ არის რომელიმე რელიგიური პარტიისა და თეოლოგიური მოძღვრების აპოლოგეტი. მისი სულიერება არც კათოლიკურია და არც პროტესტანტული. შექსპირი, როგორც ამას პოლ ფიდესი გვთავაზობს, „ზოგადი სულიერების“ პოზიციაზე დგას. სულიერებისა, რომელიც ყოველგვარ ვიწროკონფესიურსა და დენომინაციურ ფარგლებს სცილდება და საერთო ზოგადსაკაცობრიო სულიერების დომენს განეკუთვნება. სწორედ ამაში მჟღავნდება ყველა ნამდვილი შემოქმედის გენია. ცხადია, შექსპირი პროტესტანტული ინგლისის შვილია, ისევე, როგორც რუსთველი მართლმადიდებლური საქართველოსი, დანტე კათოლიკური იტალიისა, ჯალალ ალ-დინ რუმი ისლამური სპარსეთისა, მაგრამ ისინი, პოლ ფიდესეული საზომით თუ გავზომავთ, ყველანი ზოგად სულიერებას სთავაზობენ მკითხველს, რის გამოც ისინი ყველა ეპოქისათვის რელევანტურები არიან. „ზოგადი სულიერება“ ყველა კულტურაში თავის სათქმელს ამბობს და მას ყავლი არასდროს გასდის.

2 პოლ ფიდესის წერილი მ. სონლულაშვილს, 7 მარტი 2015.

3 იხ. იქვე.

შექსპირის სულიერება, პოლ ფიდესის აზრით, „წააქეზებს იმედს, რომ არსებობს შესაძლებლობები სიყვარულის ძალისა, თვით სიკვდილს რომ დაამარცხებს“⁴

იმედი ამ სიკვდილის მძლეველი სიყვარულისა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ეპოქისა და სამყაროსათვის, სადაც ადამიანთა და კულტურათა შორის გაუცხოებისა და ფობიების ტალღები მიქინვარებს. პოლ ფიდესი მართალია, როცა ამბობს, რომ „საჭიროა მოვუწოდოთ ადამიანებს, თანაგრძნობით გაეცნონ განსხვავებული ადამიანების ცხოვრებას და ყური დაუგდონ მათ მონაყოლს.“ ამ საქმეში ის თვლის, რომ თეოლოგიას და ლიტერატურას შეუძლიათ პოზიტიური როლი შეასრულონ. მისი აზრით, „თეოლოგიას შეუძლია, ხელი შეუწყოს ისეთი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რომელშიაც ადამიანებს პატივსა სცემენ და აფასებენ იმის გამო, ვინც არიან.“ რაც შეეხება ლიტერატურას, მას „შეუძლია, შექმნას ახალი წარმოსახვითი სამყაროები, რომელშიც შესაძლებელია სხვების მიმართ სიმპათიისა და ემპათიის განვითარება.“⁵

ქართულ რეალობაში ლიტერატურამ თავისი სათქმელი უკვე თქვა ჩვენი მწერლობის პირით. ახლა ჯერი თეოლოგიაზეა მიმდგარი. მან უნდა მიიღოს ქართულ ლიტერატურაში არსებული „ზოგადი სულიერების“ გამოწვევები შოთასგან, ვაჟასგან, ილიასგან და შემოგვთავზოს მათთვის შესაფერისი ინკლუზიური თეოლოგია, რომლის მიხედვითაც განსხვავებულობა და მრავალფეროვნება ნიჭად ჩაითვლება და არა ნაკლად. ტყუილად ხომ არა აქვს რუსთველს ნათქვამი: „გვაქვს უთვალავის ფერითა.“

ბოლოს უნდა ვახსენო, რომ პოლ ფიდესი საქართველოს მეგობარია. იგი კარგად იცნობს ქართულ კულტურას. მისი აზრით, ქართული კულტურა არის „საოცარი ნაზავი სხვადასხვა კულტურებისა და ეთნიკური ტრადიციებისა, მაგრამ იგი გაჯერებულია ღრმა და უძველესი ქრისტიანული მემკვიდრეობით. ეს არის კულტურა, რომელსაც აქვს პოტენცია, ხიდეები გადოს არა მარტო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, არამედ განსხვავებული რწმენის ტრადიციებს

4 პოლ ფიდესი, „მეფე ლირი. სიკვდილის სერიოზულად გააზრება,“ შექსპირი და რელიგია, თარგმანი პაატა ჩხეიძისა (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015), გვ. 67

5 პოლ ფიდესის წერილი მ. სონლულაშვილს, 7 მარტი 2015.

შორის. ჩემი ვარაუდით სამომავლოდ მას დიდი წვლილი შეუძლია შეიტანოს ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში.⁶ პოლ ფიდესი თანაუგრძნობდა საქართველოს 2008 წლის ომის დროს. იგი სებასტიან ბროკთან და სხვა ოქსფორდელ დონებთან⁷ ერთად დაესწრო საქართველოსთან სოლიდარობის „ვიჯილს“ (ლამისთევით ლოცვას) წმ. მიქაელის ეკლესიაში (St Michael at the Northgate, Oxford) 2008 წლის აგვისტოს თვეში.

პოლ ფიდესის მეშვეობით საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ილიას უნივერსიტეტს შორის. 2014 წლის ნოემბრის თვეში ილიაუნის რექტორი, პროფესორი გიგა ზედანია, მიწვეული იქნა ოქსფორდში, სადაც მან საჯარო ლექცია წაიკითხა და მოლაპარაკებები გამართა ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ. გამოკვეთილია ორი არეალი, რომელშიც შეიძლება ითანამშრომლონ ოქსფორდმა და თბილისმა. ერთია ინტერდისციპლინარული (ფილოსოფია, თეოლოგია, ლიტერატურა, პოლიტიკური თეორია) პროექტი „კრიტიკულ თეორიასა და სულიერ პრაქტიკაზე“ და მეორეა ინტერრელიგიური პროექტი „სიყვარულის კვლევა რელიგიაში“.

მალხაზ სონღულაშვილი

6 იხ.იქვე.

7 Oxford Don – ასე უწოდებენ ოქსფორდსა და კემბრიჯში პროფესორ-მასწავლებლებს. ტრადიცია შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს, როცა უნივერსიტეტებში ძირითადად სასულიერო პირები ასწავლიდნენ.

შესავალი: შექსპირის რელიგია

უილიამ შექსპირის პიესაში, *მეთორმეტე ღამე*, მარია ამბობს გაფუყულ მსახურთუფროს მალვოლიოზე, „ხანდახან მგონია, რომ იგი პურიტანელის ჯილაგისაა!“ რაზეც სულელი სერ ენდრიუ პასუხობს, „ეს რომ მცოდნოდა – აქვე ძალღივით მივალრჩობდი!“ (თარგმ. სიკო ფაშალიშვილისა) მოგვიანებით იგი აცხადებს, ისევე არ ვისურვებდი ბრაუნისტობას, როგორც პოლიტიკოსობასო; ამრიგად, გვატყობინებს, რომ ორივეზე ცუდი აზრისაა.¹ ეს მყისიერი ამოცახილები მიგვანიშნებს, რომ შექსპირი კარგად იცნობდა თავისი დროის რელიგიურ ვითარებას. ამ ხუმრობებში გამოუმჟღავნებულია დაწვრილებით ცოდნა ახლად დაფუძნებულ, ინგლისის ეკლესიაში არსებული მიმდინარეობებისა და დაჯგუფებებისა. იგი არა მხოლოდ ინგლისის ეკლესიაში არსებულ პურიტანულ მოძრაობას ახსენებს, რომელსაც სურდა ელიზაბეთურზე უფრო მეტი რეფორმები გატარებულიყო ეკლესიის შიგნით, არამედ რობერტ ბრაუნის წინამძღოლობით არსებულ ჯგუფსაც („ბრაუნისტები“), ვინც გამოეყენნენ სახელმწიფო ეკლესიას, რათა ეცხოვრათ, როგორც მათ სწამდათ, „ქრისტეს კანონით“ და არა კანონით მონარქის მიერ დანიშნული ეპისკოპოსებისა.

კომიკური პერსონაჟის ეს ზედაპირული შენიშვნები იმიტომ კი არ მოვიტანე, რომ გირჩიოთ მათი საშუალებით თვითონ შექსპირის შეხედულებები განვჭვრიტოთ პურიტანიზმისა და სეპარატიზმის შესახებ, არამედ იმის საჩვენებლად თუ როგორ ხატავს შექსპირი თავისი დროის რელიგიურ წინააღმდეგობებს დრამატული ეფექტის მისაღწევად. და თუ ის სიმართლეა, რომ ერთგვარი განსხვავება იყო ინგლისის ეკლესიაში, ბრაუნისტებად მოქცეულ პურიტანებსა და დარჩენ პურიტანებს შორის, მაშინ ის უფრო სიმართლეა, რომ უფრო მეტი განხეთქილება იყო რომაულ კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. დრო, როცა შექსპირი წერდა ყველაზე უფრო ცვალებადი იყო რელიგიური განსხვავებულობის თვალსაზრისით. შექსპირი 1564 წელს დაიბადა, ელიზაბეთის ტახტზე ასვლიდან (1558) ზუსტად ექვსი წლის შემდეგ; ელიზაბეთმა შემოაბრუნა ინგლისი პროტესტანტიზმისაკენ თავის მამის ჰენრის და თავისი ძმის ედუარდის კვალზე, მას შემდეგ, როცა მისმა დამ, მერიმ, ძალით დააბრუნა ინგლისი იმ

რომაულ კათოლიციზმში, რასაც ჰენრი მერვე განუდგა. შექსპირის მშობლები და მათი თაობა, ორჯერ გადავიდ-გადმოვიდნენ რომაული კათოლიციზმიდან ინგლისის პროტესტანტულ ეკლესიაში, ოცდახუთი წლის მანძილზე.

ლიტურგისტებსა და თეოლოგებს აფიქრებდათ, რომ ახალი ეკლესია ინარჩუნებდა შუა საუკუნის კათოლიციზმის უწყვეტობას (თუმცა აღარ ემორჩილებოდა რომის პაპს) ლოცვანის საშუალებითა და ეპისკოპოსობის შენარჩუნებით, და გასაკვირიც აღარ იყო, რომ ადგილობრივ ეკლესიაში მისულ მრავალ მორწმუნეს განსხვავების დანახვა უძნელდებოდა. მრავალი თეოლოგიური ნიუანსი შეუმჩნევლად ჩაუვლიდათ და ტექნიკურად დაუძლეველი ხდებოდა საკუთარი ეკლესიური მიკუთვნებულობის გარკვევა. ამას გარდა, ელიზაბეთი შეგნებულად ცდილობდა რეფორმირებული ეკლესია რაც შეიძლება მეტად ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ადგილს უთავისუფლებდა რწმენის მრავალფეროვნებას, თუნდაც ბრაუნისტების მსგავსი შეურიგებელი დისიდენტები ყოფილიყვნენ.²

ამ ვითარებიდან გამომდინარე, მე ვიტყვოდი, რომ დებატებმა შექსპირის კათოლიკობისა თუ პროტესტანტობის გამო, არა თუ შეუძლებელია გადაწყვიტოს რამე, მისი პიესების ტექსტიდან თუ გარეგნობიდან გამომდინარე,³ არამედ არავითარი აზრიც არა აქვს. ცხადია, შექსპირს სხვა გზა არ ჰქონდა და ფორმალურად ინგლისის ეკლესიის მრევლი იყო – ემორჩილებოდა რიჩარდ ჰუკერის მიერ გაცხადებულ პრინციპს, თუ გასურს იყო სახელმწიფოს ნაწილი, უნდა იყო ინგლისის ეკლესიის ნაწილი.⁴ აქ იგი უსმენდა ჟენევის ბიბლიის კითხვას, (კანონის თანახმად) ვალდებული იყო დასწრებოდა წირვას, აქვე დამარხეს იგი, მიენიჭა პრივილეგია დამარხულიყო სტრატფორდის წმინდა სამების ეკლესიის საკურთხეველში, იმით რომ თავის ქალაქში დიდი ფინანსური ინვესტიციები განახორციელა, ქონება იყიდა და საეკლესიო მეათედს იხდიდა. იბადება კითხვა იყო თუ არა იგი „ფარულად“ არაორთოდოქსი კათოლიკე. ამგვარი მიკუთვნებულობა მრავალგზის დადატურდა. ხშირად ამახვილებენ ყურადღებას მამის, ჯონის, სავარაუდო კათოლიკობაზე, ვინც შეტანილია სამრევლო ეკლესიის წირვის გამცდენტა სიაში; აგრეთვე იმ ვარაუდზე, რომ ლანკაშირის ერთ კათოლიკურ ოჯახში აღმზრდელდ მომუშავე 16 წლის უილიამ შეიკმაფტი და შექსპირი ერთი და იგივე პიროვნებაა. ხშირად წამოჭრილი მტკიცებულებანი ასევე ხშირადაა